

სარეზიდენტო პროგრამა

„ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“

(ხანგრძლივობა – 3 წელი - 33 თვე)

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

1. სარეზიდენტო პროგრამის მიზანია მოამზადოს რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგიაში და უზრუნველყოს იგი ამ სპეციალობაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისთვის აუცილებელი კომპეტენციებით.

2. მიზნის მისაღწევად რეზიდენტმა/საექიმო სპეციალობის მაძიებელმა უნდა შეიძინოს თეორიული ცოდნა, ტექნიკური და პროცედურული უნარები, გამოიმუშაოს ცოდნის და უნარების გამოყენების ჩვევა ყოველდღიურ პრაქტიკაში, დაეუფლოს ინტენსიური თერაპიისა და ანესთეზიოლოგიის ფინანსურ და ორგანიზაციულ ასპექტებს. ამასთანავე, აითვისოს ეთიკური ნორმები და კლინიკურ - სამეცნიერო კვლევების საფუძვლები.

მუხლი 2. სპეციალობის აღწერილობა

1. „ანესთეზიოლოგია – რეანიმატოლოგია“ კლინიკური მედიცინის დარგია, რომელიც მოიცავს სრულ პრე-, ინტრა- და პოსტოპერაციულ ანესთეზიურ უზრუნველყოფას ქირურგიული ოპერაციების ან დიაგნოსტიკური მანიპულაციებისთვის (სადაც ანესთეზია ნაჩვენებია), პოსტანესთეზიური (გამოფხიზლების) პერიოდის მართვას, აგრეთვე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი (ქირურგიული და თერაპიული პროფილის) პაციენტების მონიტორინგსა და მკურნალობას სანამ ისინი საჭიროებენ სასიცოცხლო ფუნქციების უზრუნველყოფას (სასიცოცხლო ფუნქციების უზრუნველყოფა არის მედიცინის სფერო, რომელიც გულისხმობს სამკურნალო ღონისძიებების ერთობლიობას მიმართულს პაციენტის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, როდესაც ორგანიზმის მნიშვნელოვანი სისტემები არ ფუნქციონირებენ იმ დონეზე, რომ დაიცვან და შეინარჩუნონ სიცოცხლე) ან ორგანოთა დახმარებას (ჩანაცვლებას) (მათ შორის იგულისხმება ქირურგიული ჩარევების შემდგომი სრული სტაბილიზაცია), აგრეთვე, ნებისმიერი გენეზის მწვავე და ქრონიკული ტკივილის მართვას.

2. სპეციალობა „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“ მოიცავს ანესთეზიას (ზოგადი, რეგიონალური, ადგილობრივი), პოსტანესთეზიურ მართვას (გამოფხიზლება), რეანიმაციას როგორც თერაპიული ასევე ქირურგიული ან პოსტოპერაციული პაციენტებისა მათი მკურნალობის მთელ პერიოდში სანამ საჭიროებენ რეანიმაციულ მკურნალობას, ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ნეონატალური, პედიატრიული, მოზრდილები.

3. სპეციალისტის პროფესიული ზოგადი ცოდნა:

ა) ევროპის ანესთეზიოლოგთა საზოგადოების (ESA) „ანესთეზიოლოგია, ინტენსიური თერაპია, ტკივილის მართვის“ სარეზიდენტო პროგრამა, გაიდლაინები და პროტოკოლები;

ბ) ASA – აშშ ანესთეზიოლოგთა ასოციაციის გაიდლაინები და პროტოკოლები;

გ) CoBaTrICE – კომპეტენციებზე დაფუძნებული მომზადება ინტენსიურ თერაპიაში;

- დ) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
- ე) საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“;
- ვ) საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
- ზ) ექიმისა და პაციენტის ურთიერთობების საფუძვლები;
- თ) ბიოეთიკის თანამედროვე პრინციპები;
- ი) „უსაფრთხო ანესთეზიის ჰელსინკის – 2010 წ.“ და „ინტენსიურ თერაპიაში პაციენტის უსაფრთხოების ვენის 2009 წ.“ დეკლარაციები, შესაბამისი გაიდლაინებით და პროტოკოლებით.

4. ექიმ-სპეციალისტის ზოგადი უნარ-ჩვევები:

- ა) ახალშობილთა, ბავშვთა და მოზრდილთა სრულფასოვანი ანესთეზიოლოგიური მომსახურება ყველა ტიპის ოპერაციების და დიაგნოსტიკურ-თერაპიული ინტერვენციების დროს;
- ბ) ახალშობილთა, ბავშვთა და მოზრდილთა პოსტოპერაციული პერიოდის სრულფასოვანი მართვა;
- გ) ახალშობილთა, ბავშვთა და მოზრდილთა სიცოცხლისთვის საშიში და გადაუდებელი მდგომარეობების ამოცნობა და მართვა;
- დ) ახალშობილთა, ბავშვთა და მოზრდილთა კრიტიკული მდგომარეობების და ნოზოლოგიების, ორგანოთა დისფუნქციის დიაგნოსტიკა, სიმძიმის შეფასება, მართვა-მკურნალობა (ყველა ორგანოთა და სისტემების) მათ შორის ორგანოთა ჩანაცვლებითი თერაპიის;
- ე) დიაგნოზის დასმისას კლინიკო-რადიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების სწორი დაგეგმვა (პრიორიტეტების გათვალისწინებით) და შედეგების ინტერპრეტაცია;
- ვ) პაციენტის ინტრა და ინტერპოსპიტალური უსაფრთხო ტრანსპორტირება;
- ზ) პაციენტის და პერსონალის უსაფრთხოების დაცვა ანესთეზიოლოგიაში და რეანიმატოლოგიაში;
- თ) ანესთეზიური და რეანიმაციული განყოფილების სტრუქტურულ-ორგანიზაციულ-ფინანსური დაგეგმარება-მართვა;
- ი) ახალშობილთა, ბავშვთა და მოზრდილთა ანესთეზიოლოგიაში და რეანიმაციაში სამართლებრივ-ეთიკური ნორმების დაცვა;
- კ) ზემოთ ჩამოთვლილ განყოფილებებში ხარისხის უზრუნველყოფა და სამეცნიერო კვლევების წარმოება.

5. დაავადებების/პათოლოგიური მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას მოიცავს ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია მოცემულია ცხრილის სახით:

I.სასუნთქი სისტემა:

ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური (ზემო და ქვემო სასუნთქი სისტემის) და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:

1. J96 სუნთქვის მწვავე უკმარისობა;
2. R09.2 სუნთქვის გაჩერება;
3. J80 მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომი;
4. J81 ფილტვის შეშუპება;
5. J46 ასთმური სტატუსი;
6. J95 სასუნთქი სისტემის დაზიანებები სამედიცინო პროცედურების შედეგად, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში;
7. P22.0 ახალშობილთა რესპირაციული დისტრეს სინდრომი;
8. P28.5 ახალშობილის სუნთქვის უკმარისობა;
9. P28.8 ახალშობილის სხვა დაუზუსტებელი მდგომარეობები (ე.წ. „ჩაშლილ“ საერთაშორისო ICD 10-ში იგულისხმება P28.81 – ახალშობილის რესპირატორული არესტი);
10. J05.0 მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი (კრუპი);

11. J05.1 მწვავე ეპიგლოტიტი;

12.R.04.2 ჰემოპტიზის (სისხლის ამოხველება);

13. T88.4 წარუმატებელი ან გაძნელებული ინტუბაცია;

14.T88.5 ანესთეზიის სხვა გართულებები;

15. P27.1 ბრონქოპულმონური დისპლაზია.

II. გულ-სისხლძარღვთა სისტემა:

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები (შოკის ჩათვლით):

1. I31.4 გულის ტამპონადა;
2. I20.0 არასტაბილური სტენოკარდია;
3. I21 მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი;
4. I44 წინაგულ-პარკუჭოვანი (ატრიო-ვენტრიკულური) და პისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადა;
5. I46 გულის განელება (არესტი);
6. I47 პაროქსიზმული ტაქიკარდია;
7. I47.2 პარკუჭოვანი ტაქიკარდია;
8. I48 წინაგულების ფიბრილაცია და თრთოლვა;
9. I49.0 პარკუჭთა ციმციმი და თრთოლვა;
10. I49.5 სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი;
11. I50 გულის უკმარისობა;
12. I11.0 გულის ჰიპერტენზიული დაავადება მიმდინარე გულის უკმარისობით;
13. P29.1 ახალშობილთა გულის დიზრითმიები;
14. I71 აორტის ანევრიზმა და დისექცია (აშრევაბა);
15. I97 სისხლის მიმოქცევის სისტემის დაზიანებები სამედიცინო პროცედურების შედეგად, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში;
16. R57 შოკი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში:
 - R57.0 კარდიოგენური შოკი;
 - R57.1 ჰიპოვოლემიური შოკი;
 - R57.8 სხვა შოკი;
 - R57.9 შოკი დაუზუსტებელი.
17. T78.2 ანაფილაქსიური შოკი, დაუზუსტებელი;
18. T88.3 შოკი გამოწვეული ანესთეტიკებით;
19. T75.4 ელექტრული დენის ზემოქმედება;
20. O75.1 სამეანო შოკი;
21. T81.1 სამედიცინო პროცედურების შემდგომ განვითარებული შოკი;
22. F43.0 ფსიქიური შოკი;
23. T79.4 ტრავმული შოკი;
24. A48.3 ტოქსიური შოკის სინდრომი;
25. R65 სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი (საპს);
26. R65.21 მძიმე სეფსისი სუბტიური შოკი;
27. T80.5 შრატის მიერი ანაფილაქსიური შოკი;
28. I26 ფილტვის (არტერიის) (ვენის) ემბოლია;
29. I27.0 ფილტვის პირველადი ჰიპერტენზია;
30. I27.2 სხვა მეორადი პულმონური ჰიპერტენზია.

III ენდოკრინული სისტემა:

ენდოკრინული სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:

1. E03.5 მიქსედემური კომა;
2. E05.5 თირეოიდული კრიზი ან შეტევა;
3. E10.0 ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი კომით;
4. E10.1 ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი კეტოაციდოზით;
5. E11.0 ინსულინდამოუკიდებული შაქრიანი დიაბეტი კომით;
6. E11.1 ინსულინდამოუკიდებული შაქრიანი დიაბეტი კეტოაციდოზით;
7. E12.0 არასაკმარის კვებასთან დაკავშირებული შაქრიანი დიაბეტი კომით;
8. E13.0 შაქრიანი დიაბეტის სხვა დაუზუსტებელი ფორმები, კომით;
9. E14.0 შაქრიანი დიაბეტი, დაუზუსტებელი, კომით;
10. E15 არადიაბეტური ჰიპოგლიკემიური კომა;
11. E27.2 ადისონური კრიზი;
12. T88.3 ავთვისებიანი ჰიპერთერმია გამოწვეული ანესთეზიით;
13. E24 (იცენკო-)კუშინგის სინდრომი.

IV ცნსცენტრალური ნერვული სისტემა და ნერვ-კუნთოვანი სისტემა:

ცენტრალური ნერვული და ნერვ-კუნთოვანი სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:

1. R40 ძილიანობა, სტუპორი და კომა;
2. I60 სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა;
3. I61 ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა;
4. I62 სხვა არატრავმული ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევები;
5. I63 თავის ტვინის ინფარქტი;
6. G93.6 ცერებრული შეშუპება;
7. S06 ინტრაკრანიალური ტრავმა;
8. G93.1 თავის ტვინის ანოქსიური დაზიანება, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში;
9. G04 ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი;
10. G41 ეპილეფსიური სტატუსი;
11. G92 ტოქსიური ენცეფალოპათია;
12. R56.8 დაუდგენელი და სხვა კონველსიები;
13. G97 ნერვული სისტემის სამედიცინო პროცედურების შემდგომი დაზიანებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში;
14. G00 ბაქტერიული მენინგიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში;
15. G61.0 გიენ-ბარეს სინდრომი;
16. G70 myasthenia gravis და ნერვ-კუნთოვანი სინაფსის სხვა დაზიანებები;
17. G93.82 ტვინის სიკვდილი;
18. F05 დელირიუმი რომელიც არ არის განპირობებული ალკოჰოლით და სხვა ნივთიერებებით;
19. S14.1 ზურგის ტვინის კისრის ნაწილის სხვა და დაუზუსტებელი ტრავმები;
20. S24.1 ზურგის ტვინის გულმკერდის ნაწილის სხვა და დაუზუსტებელი ტრავმა.

V რენალური-საშარდე და მეტაბოლური სისტემა:

შარდის გამომყოფი სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:

1. N17 თირკმლის მწვავე უკმარისობა;
2. N19 თირკმლის უკმარისობა დაუზუსტებელი;
3. N00 მწვავე ნეფრიტული სინდრომი;
4. N01 სწრაფად პროგრესირებადი ნეფრიტული სინდრომი;
5. N04 ნეფროზული სინდრომი;
6. N18.5 თირკმლის ქრონიკული დაავადება, სტადია 5;
7. N23 თირკმლის ჭვალი, დაუზუსტებელი;
8. R34 ანურია და ოლიგურია;
9. E86 სითხის მოცულობის შემცირება;
10. E87 სითხეების, ელექტროლიტების და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის სხვა დარღვევები.

VI საჭმლის მომნელებელი სისტემა:

საჭმლის მომნელებელი სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:

1. K72 ღვიძლის მწვავე და ქვემწვავე უკმარისობა;
2. K71.1 ღვიძლის ტოქსიური დაზიანება ჰეპატოციტების ნეკროზით;
3. K65.0 მწვავე პერიტონიტი;
4. K85 მწვავე პანკრეატიტი;
5. R10 მუცლისა და მენჯის ტკივილი;
6. P75 მეკონიური გაუვალობა;
7. P76 ახალშობილთა ნაწლავური გაუვალობის სხვა ფორმები;
8. P77 ნაყოფისა და ახალშობილის ნეკროზული ენტეროკოლიტი;
9. Q39 საყლაპავის თანდაყოლილი ანომალიები;
10. Q79.0 თანდაყოლილი დიაფრაგმული თიაქარი;
11. Q79.3 გასტროშიზი;
12. Q87.0 თანდაყოლილი ანომალიების სინდრომები უპირატესად სახის დაზიანებით (პიერ რობინსის სინდრომი);
13. E84 ცისტური ფიბროზი;
14. K91.2 პოსტოპერაციული მალაბსორბცია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში.

VII ინფექციები და ინტოქსიკაციები:

ნებისმიერი ეტიოლოგიის ინფექციები და ინტოქსიკაციები, რომლებიც იწვევენ კრიტიკულ ან/და სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობებს და საჭიროებენ რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებას:

1. A40 სტრეპტოკოკული სეფსისი;
2. A41 სხვა სეფსისი;

3. R65.0 ინფექციური მიზეზით განპირობებული სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი. ორგანული დაზიანების გარეშე (სეფსისი);
4. R65.1 ინფექციური მიზეზით განპირობებული სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი. ორგანული დაზიანებით (მძიმე სეფსისი);
5. P36 ახალშობილთა ბაქტერიული სეფსისი;
6. A05.1 ბოტულიზმი;
7. A35 ტეტანუსის სხვა ფორმები;
8. T37-64. W57, W59 სამკურნალწამლოსაშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ინფორმაციის მემორიალური მონიტორინგით მოწამვლა / უპირატესად არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციების ტოქსიური ეფექტები / კბენაანდანესტრვარაშხამიანი მწერის დასხვა არაშხამიანი ფეხსახსრიანების მიერ / სხვა ქვეწარმავლების მიერ მიყენებული კბენაანდარტყმა.

VIII ჰემატოლოგიური დარღვევები:

მწვავე და ქრონიკული ჰემატოლოგიური დარღვევები, რომლებიც იწვევენ კრიტიკულ მდგომარეობებს (მათ შორის პერიოპერაციული), და საჭიროებენ პაციენტის ინტენსიურ მკურნალობას/მონიტორინგს:

1. D62 მწვავე პოსტჰემორაგიული ანემია;
2. D65 დისემინირებული სისხლძარღვში და შედეგება (დეფიბრინაციული სინდრომი);
3. D59.3 ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი;
4. D50-D64 ალიმენტური, ჰემოლიზური, აპლაზიური და სხვა ანემიები (ღრმა ანემიები);
5. D69 პურპურა და სხვა ჰემორაგიული მდგომარეობები;
6. D70 აგრანულოციტოზი;
7. T80.9 ინფუზიის, ტრანსფუზიის და სამკურნალო ინექციის შედეგად განვითარებული დაუზუსტებელი გართულება.

IX მეანობა-გინეკოლოგია:

მეანობის პერიოდის, მშობიარობის და გინეკოლოგიური ჩარევების დროს განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები, მათ შორის პერიოპერაციული ან პროცედურული:

1. A34 სამეანო ტეტანუსი;
2. O15 ეკლამპსია;
3. O14.2 HELLP სინდრომი;
4. O88.1 სანაყოფე სითხით ემბოლია;
5. O74 სამშობიარო მოქმედებისა და მშობიარობის დროს ჩატარებული ანესთეზიის გართულებები;
6. O75 სამშობიარო მოქმედებისა და მშობიარობის სხვა გართულებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში.

X ტრავმები და თერმული დაზიანებები:

ტრავმების და თერმული დაზიანების შედეგად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები, მათ შორის პერიოპერაციული ან პროცედურული:

1. S27.7 გულმკერდის ღრუს მრავლობითი ტრავმა;
2. S36.7 მუცლის ღრუს ორგანოების მრავლობითი ტრავმა;
3. T07 მრავლობითი ტრავმები, დაუზუსტებელი;
4. T29.0 სხვადასხვა მიდამოს თერმული დამწვრობა, დაუზუსტებელი ხარისხის.

XI ტკივილის მართვა (ეს კოდები არ არის შეტანილი საქართველოში მოქმედი ICD10 კოდების სისტემაში, და არის ჩვენი სპეციალობის განუყოფელი ნაწილი):

G89 ტკივილი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში (ჩასაშლელი კოდია) “Pain not elsewhere classified”.

6. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია დაკლინიკური შეფასება უნდა შეეძლოსანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგს:
 - ა) სისხლის საერთო ანალიზი;
 - ბ) სისხლის ბიოქიმიური ანალიზი;
 - გ) სისხლის კოაგულაციურ-ლითიური პარამეტრების ანალიზი;
 - დ) შარდის საერთო ანალიზი;
 - ე) სეროლოგიური გამოკვლევები;
 - ვ) ცილის ფრაქციები და იმუნოლოგიური კვლევა;
 - ზ) მუჟავა-ტუტოვანი ბალანსის კვლევა;
 - თ) სისხლის აირთა კვლევა;
 - ი) ელექტროლიტთა კვლევა;
 - კ) ელექტროკარდიოგრამა;
 - ლ) ექოკარდიოსკოპია (ტრანსეზოფაგური კარდიოგრაფია);
 - მ) ელექტროენცეფალოგრამა;
 - ნ) ულტრაბგერითი გამოკვლევა;
 - ო) რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფია;
 - პ) მასპექტრომეტრია;
 - ჟ) კომპიუტერული ტომოგრაფია;
 - რ) ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული კვლევა;
 - ს) ბიოლოგიურ სითხეთა ბაქტერიოლოგიური კვლევა;
 - ტ) ბიოლოგიურ სითხეთა ციტოლოგიური და ბიოქიმიური კვლევა.
7. ექიმ-სპეციალისტის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები:
 - ა) დაავადების მართვა, პაციენტის შეფასება და პრეოპერაციული მომზადება:
 - ა.ა) პაციენტის შეფასება დაფუძნებული ანამნეზსა და გასინჯვაზე საჭირო გამოკვლევის მეთოდებისა და ლაბორატორიული კვლევების გამოყენებით;
 - ა.ბ) პრეოპერაციული სტატუსის შეფასება (ASA physical status);
 - ა.გ) სპეციფიური საყურადღებო საკითხების შეფასება საპერო გზების მართვის თვალსაზრისით (იხ. საკითხი საპერო გზები);
 - ა.დ) ელექტროკარდიოგრამა და გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის შეფასების სხვა მეთოდები (ექოკარდიოგრაფია, მიოკარდიუმის ერგომეტრული სცინტიგრაფია, კორონაროგრაფია);
 - ა.ე) ფილტვის ფუნქციური ტესტი, არტერიული სისხლის გაზების ანალიზი;
 - ა.ე.უხშირესი რადიოლოგიური კვლევები, ძირითადად კი გულმკერდის რენტგენოგრაფია;
 - ა.ზ) კოაგულაცია;
 - ა.თ) დვიძლისა და თირკმლის ფუნქციური ტესტები;
 - ა.ი) ენდოკრინული სისტემის ფუნქცია;

- ა.კ) წამლების მონიტორინგი;
- ა.ლ) ანესთეზიის ტექნიკის შერჩევა და დაგეგმვა (ამაში შედის შესაბამისი მონიტორინგი, აპარატურა და მოწყობილობები);
- ა.მ) ოპერაციის გადადების ან საერთოდ მისი უკუჩვენების განსაზღვრაზე გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ა.ნ) პროოპერაციული ჩანაწერის ზუსტად და აკურატულად შექმნა და შენახვა;
- ა.ო) პაციენტთან ეფექტური კომუნიკაცია, პაციენტისათვის სხვადასხვა ტიპის ანესთეზიის შესაძლო რისკებისა და დადებითი ეფექტების ახსნა, პაციენტისადმი გულთადი მოპყრობა, მისი ყველა შესაძლო კითხვისა და შენიშვნის დაკმაყოფილება;
- ა.პ) ეფექტური ურთიერთობის დამყარება პაციენტთან, მის ოჯახთან, ნათესავებთან;
- ა.ჟ) ინფორმირებული დოკუმენტის შექმნა, რომელიც მოიცავს ყველა შესაძლო რისკს;
- ა.რ) საჭიროების შემთხვევაში პაციენტთან, მის ნათესავებთან, ქირურგთან და მთელ გუნდთან ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შესახებ მსჯელობა.

ბ) პაციენტის ინტრაოპერაციული მოვლა და ანესთეზიის ტექნიკა:

- ბ.ა) სწრაფი თანმიმდევრული ინდუქცია;
- ბ.ბ) საჭირო გზების გამავლობის მიღწევა და შენარჩუნება;
- ბ.გ) A L S;
- ბ.დ) ასეპტიკა;
- ბ.ე) პერიფერიული და ცენტრალური ვენების კანულაციის ტექნიკის ფლობა, რაც საჭიროა სითხეებით რეანიმაციისათვის, არტერიის კათეტერიზაცია და არტერიული სისხლის აღება გაზების კონტროლისათვის;
- ბ.ვ) ECG ჩაწერა და ინტერპრეტაცია;
- ბ.ზ) ლუმბალური პუნქცია, გულმკერდისა ლუმბალური ეპიდურული და სპინალური ანესთეზია.

გ) პაციენტის პოსტოპერაციული მოვლა და მწვავე ტკივილის მართვა:

- გ.ა) სისხლძარღვების კანულაციის ძირითადი გზები;
- გ.ბ) საჭირო გზების მართვის ძირითადი პრინციპები;
- გ.გ) BLS, ALS;
- გ.დ) არითმიის მკურნალობა, დეფიბრილაცია-კარდიოვერსია;
- გ.ე) რეგიონული ანესთეზიის ტექნიკა: ნეუროაქსილარული, პერიფერიული ნერვის ბლოკადა.

დ) გადაუდებელი მედიცინა: კრიტიკული მდგომარეობების მართვა ტრავმისა და დამწვრობის ჩათვლით:

- დ.ა) გულ-ფილტვის რეანიმაციის ძირითადი და კვალიფიციური მეთოდები მოზრდილებში, ბავშვებში, ახალშობილებში BLS, ALS, ATLS, PALS;
- დ.ბ) გადაუდებელ და კრიტიკულ სიტუაციებში ძირითადი ინვაზიური პროცედურების ჩატარების ჩვევების ფლობა: ცენტრალური ვენის, ინტრაოსეური მიდგომის ცოდნა, არტერიული მიდგომის, გულის პეისინგის, პლევრის დრენირების, ხერხემლის სტაბილიზაციის ცოდნა;
- დ.გ) საჭიროების შემთხვევაში ზედამხედველობის ქვეშ შესაძლებელია ატარებდეს პერიკარდიოცენტრებს, პარაცენტრებს.

ე) კრიტიკული პაციენტის პერიოპერაციული მკურნალობა/ მულტიდისციპლინური ინტენსიური თერაპია:

- ე.ა) სასუნთქი სისტემა:
 - ე.ა.ა) გადაუდებელი მდგომარეობისას ინტუბაცია;
 - ე.ა.ბ) ბრონქოსკოპია (ლავაჟისა და მასალის აღების ჩათვლით);
 - ე.ა.გ) პერკუტანული ტრაქეოსტომია;
 - ე.ა.დ) პლევრის დრენირება;

- ე.ა.ე) ვენტილაცია მუცელზე წოლისას.
- ე.ბ) გულსისხლძარღვთა სისტემა:
- ე.ბ.ა) ცენტრალური ვენის აღება (დიალიზის კათეტერის ჩათვლით);
- ე.ბ.ბ) არტერიის კანულაცია;
- ე.ბ.გ) ფილტვის არტერიის კათეტერიზაცია (Swan-Ganz).
- ე.გ) ძირითადი ულტრაბგერითი კვლევა შემდეგი მიზნებისათვის:
- ე.გ.ა) ულტრაბგერით კონტროლირებული ცენტრალური ვენის აღება;
- ე.გ.ბ) პარკუჭის მწვავედ დაზიანებული ფუნქციის ამოცნობა ულტრაბგერით (მარჯვენა ან/და მარცხენა პარკუჭი, ჰიპო-აკინეზური უბნები);
- ე.გ.გ) ქვემო დრუ ვენის დიამეტრის გაზომვა;
- ე.გ.დ) პერიკარდში, პლევრასა და პერიტონეუმში უხვი რაოდენობით სითხის არსებობის ამოცნობა;
- ე.გ.ე) შარდის შეკავების ამოცნობა (გადაწეული შარდის ბუშტი);
- ორგანოთა სისტემების მიხედვით შეფასებისა და მკურნალობის ცოდნა:
- ე.გ.ვ) დოკუმენტაციის სწორად და მკაფიოდ წარმოება, უნდა ჩანდეს დიფერენციალური დიაგნოსტიკა და პრიორიტეტები
- ე.გ.ზ) კრიტიკული პაციენტის ტრანსპორტირება ინტრაჰოსპიტალურად და ჰოსპიტალებს შორის გულსისხლძარღვთა BLS ALS, ACLS რეანიმაციისა და სითხეებით მკურნალობის ჩათვლით ე.გ.თ) ვაზოაქტიური წამლებისა და კატექოლამინების გამოყენება;
- ე.გ.ი) არითმიის მკურნალობა, პეისმეკერისა და კარდივერსი-დეფიბრილაციის ჩათვლით;
- ე.გ.კ) სპეციფიური ჰემოდინამიკური მონიტორინგი (ფილტვის არტერიის კათეტერის გამოყენება, ულტრაბგერა); ე.გ.ლ) თრომბოემბოლიის პრევენცია;
- ე.გ.მ) CPAP; ე.გ.ნ) მექანიკური ვენტილაცია, ინვაზიური, არაინვაზიური (მექანიკური ვენტილაციის ტიპებისა და რეჟიმების ცოდნა და გამოყენება, მათი ჩვენებები, უკუჩვენებები, ფილტვის დაცვითი სტრატეგიები და ა.შ.); ე.გ.ო) სისხლის გაზების ანალიზი, ინტერპრეტაცია; ე.გ.პ) მექანიკური ვენტილაციით გამოწვეული ფილტვების დაზიანების პრევენცია;
- ე.გ.ჟ) ასპირაციის პრევენცია.

ე.დ) თირკმელი:

- ე.დ.ა) თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის დაწყება და ჩატარება.
- ე.დ.ბ) თირკმლის ფუნქციის გაუარესების პრევენცია;
- ე.დ.გ) წამლების შერჩევა და დანიშვნა თირკმლის ფუნქციის გათვალისწინებით.

ე.ე) ნევროლოგია:

- ე.ე.ა) საჭირო ცერებრული პერფუზიის შენარჩუნება;
- ე.ე.ბ) დათრგუნული ცნობიერების პაციენტის მართვა (მენეჯმენტი);
- ე.ე.გ) ტვინის ღეროს სიკვდილის მართვა;
- ე.ე.დ) ორგანოთა დონაციის მართვა;
- ე.ე.ე) კრიტიკული პოლინეიროპათიების მართვა;
- ე.ე) საჭმლის მომნელებელი:
- ე.ე.ა) კვება;
- ე.ე.ბ) სტრესული წყლულის პრევენცია;
- ე.ე.გ) გასტროპარეზის, პარალიზური გაუვალობის, დიარეის, ყაბზობის, ფარმაკოლოგიური და არაფარმაკოლოგიური მკურნალობა;
- ე.ე.დ) მწვავე ტრავმის დროს პრიორიტეტების შერჩევა;
- ე.ე.ე) სისხლდენის კონტროლი.

ე.ზ) ენდოკრინული:

ე.ზ.ა)კრიტიკული მდგომარეობით გამოწვეული ჰიპერგლიკემიის მართვა;ე.ზ.ბ)ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერ და ჰიპოფუნქციის მართვა თირკმელზედა და ჰიპოფიზის ჯირკვლების ფუნქციის მოშლის მართვა, სეფსისით გამოწვეული თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობის მართვა;ე.ზ.გ)ინტენსიური თერაპიის პაციენტთან და მის ნათესავებთან ეფექტური კომუნიკაცია, კოოპერაცია, მათი ფსიქოლოგიური განწყობის ამოცნობა. მათი უზრუნველყოფა სანდო, გასაგები, ამომწურავი, დამაჯერებელი ინფორმაციით.

ვ) პრაქტიკული პროცედურები ანესთეზიაში/ინვაზიური და რადიოლოგიური მეთოდები/რეგიონალური ბლოკადა:

ვ.ა)სასუნთქი გზების მართვა (სახის ნიღაბი, ლარინგოსკოპი სხვადასხვა წვერით, ლარინგეალური ნიღაბი, ენდოტრაქეული მილები, ორსანათურიანი მილები, სუპრაგლოტური სასუნთქი გზების მილები;

ვ.ბ)რუტინული სასუნთქი გზების მართვა;

ვ.გ)რთული ვენტილაციის ალგორითმი;

ვ.დ)სწრაფი ინდუქცია;

ვ.ე)რთული სასუნთქი გზების მართვა (ფიბროსკოპიური ინტუბაცია დაძინებული და ფხიზელ პაციენტზე);

ვ.ვ)კრიკოთირეიდოტომია და ჯეტ ვენტილაცია;

ვ.ზ) არტერიული და ცენტრალური ვენური ხაზების ჩაყენება, ფილტვის არტერიის კათეტერის ჩაყენება, მონაცემთა ინტერპრეტაცია.

ვ.თ) ზოგადი ანესთეზია:

ვ.თ.ა)სედაცია ცნობიერების შენახვით (გასტროსკოპიური ან სხვა ენდოსკოპიური პროცედურების დროს);

ვ.თ.ბ)ინჰალაციური ინდუქცია;

ვ.თ.გ)გულფილტვის რეანიმაციის ტექნიკა (BLS, ALS, ATLS, PALS);

ვ.თ.დ) შეამოწმეთ და იხელმძღვანელეთ შემდეგი მონიტორინგითა და ტექნიკური საშუალებებით: გაზებით მონარაგება, ანესთეზიის მისაწოდებელი სისტემა, ამბორთქლებელი, სასუნთქი სისტემა, საანესთეზიო ვენტილაციის აპარატები, საინფუზიო პამპები,ცენტრალური ნერვული სისტემა ონიტორინგი, გამათბობელი საშუალებები, ეგ და ანესთეზიის სიდრმის მონიტორინგი.

ი) რეგიონული ანესთეზიის შემდეგი ტექნიკა:

ი.ა)პაციენტის პოზიცია ქირურგიული ჩარევის შესაბამისად, ორსული პაციენტის პოზიციის შერჩევა, ასევე პაციენტებისათვის, რომელთაც აღენიშნებათ სპეციფიური პათოლოგიური მდგომარეობები(მაგ. რემატოიდული ართრიტი);

ი.ბ)ზედა კიდურების პერიფერიული ბლოკადა;

ი.გ)ქვედა კიდურების პერიფერიული ბლოკადა;

ი.დ)ცენტრალური ნეიროაქსილარული ბლოკადა: სპინალური, ეპიდურული (გულმკერდის/ლუმბალური) და კომბინირებული სპინალური/ეპიდურული გულმკერდის დრენაჟის მიღების ჩადგმა;

ი.ე) პერიოპერაციული ანესთეზიის უსაფრთხო მართვა, პროცედურების ჩატარების დროს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარჩვევების ზუსტი ცოდნა და ლიმიტების განსაზღვრა, დახმარების დროული მოთხოვნა. ონიტორინგის სტანდარტების ფლობა, შესაბამისი პროტოკოლების გამოყენება.

8. სპეციფიური კომპენტენციები:

ა)ანესთეზიოლოგია და რეანიმაციოლოგია მეან-გინეკოლოგიაში:

ა.ა) პრე-ოპერაციული შეფასება, ანამნეზი, გასინჯვა;

ა.ბ) სასუნთქი გზების შეფასება;

ა.გ) სწრაფი თანმიმდევრული ინდუქცია;

ა.დ) სასუნთქი გზების გადაუდებელი მართვა;

ა.ე) ეპიდურული კათეტერის ჩადგმა მშობიარობის გაუტკივარებისთვის 80% წარმატებულობით;

ა.ვ) სპინალური ანესთეზია საკეისრო კვეთისთვის 90%-იანი წარმატებულობით;

ა.ზ) გართულებული სპინალურ-ეპიდურული ანესთეზია;

ა.თ) კომბინირებული სპინალურ/ეპიდურული ანალგესია-ანესთეზია;

ა.ი) „ეპიდურული სისხლის საცობი“ ტექნიკა;

ა.კ) მაღალი რეგიონალური ბლოკადის მართვა;

ა.ლ) ლოკალური ანესთეტიკების ტოქსიურობის მართვა;

ა.მ) მძიმე სამეანო სისხლდენების მართვა;

ა.ნ) ex utero intrapartum (EXIT) სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენის პროცედურა – სასურველია იცოდეს;

ა.ო) მეანობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული ეთიკურ-სამართლებრივი საკითხები;

ა.პ) სამეანო ანესთეზიის განხილვა მელოგინესთან ერთად.სამშობიარო ბლოკის პერსონალთან სრულფასოვანი კომუნიკაცია.

ბ) სასუნთქი გზების ქირურგია და მართვა:

ბ.ა) ტრაქეის ინტუბაცია:

ბ.ა.ა) პირიდან და ცხვირიდან ინტუბაცია;

ბ.ა.ბ) სპეციალური მილების გამოყენება.

ბ.ბ) რთული სასუნთქი გზების უზრუნველყოფა:

ბ.ბ.ა) მაღალი რისკის სასუნთქი გზების ამოცნობა;

ბ.ბ.ბ) სტილენტების და ბუჟების გამოყენება;

ბ.ბ.გ) ფიბროსკოპიური ინტუბაცია (სედაციით და მის გარეშე);

ბ.ბ.დ) ლარინგეალური ნიღბის გამოყენება (მათ შორის მასზე ე.ტ. დაინტუბირება);

ბ.ბ.ე) წარუმატებელი ინტუბაციის ან ვენტილაციის მართვა;

ბ.ბ.ვ) ნემსით ან ქირურგიული კრიკოთიროიდოტომია.

ბ.გ) რთული სასუნთქი გზების პაციენტის ექსტუბაციის მართვა;

ბ.დ) პოსტოპერაციული სახის და სასუნთქი გზების შეშუპების მართვა.

გ) ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია თორაკალურ და კარდიო-ვასკულარულ ქირურგიაში:

გ.ა) ფილტვის სეპარაციის ტექნიკა და შესრულება:

გ.ა.ა) ორ სანათურიანი ე.ტ ინტუბაცია;

გ.ა.ბ) ბრონქების ბლოკერები;

გ.ა.გ) მილის პოზიციის კლინიკური და ბოჭკოვან-ოპტიკური კონტროლი.

გ.ბ) რთული სასუნთქი გზების მქონე პაციენტის ფილტვის სეპარაცია:

გ.ბ.ა) თორაკალური ეპიდურული კათეტერის სწორი ჩადგმა;

გ.ბ.ბ) პაციენტის სწორი პოზიცია ლატერალური გვერდითი წოლისას;

გ.ბ.გ) პერიოპერაციული მართვის საბაზისო უნარები კარდიოქირურგიული ოპერაციების დროს, სისხლის ხელოვნური მიმოქცევით დამის გარეშე (კომბინირებული ოპერაციები, სარქველის პლასტიკა ან პროტეზირება, რევასკულარიზაცია).

გ.გ) კარდიოქირურგიული ოპერაციისთვის პაციენტის მომზადება და ანესთეზიური მართვის გეგმის შემუშავება:

გ.გ.ა) პეისმეკერის იმპლანტაციის ანესთეზიური მართვა;

გ.გ.ბ) დეფიბრილაციის ჩატარება;

გ.გ.გ) თორაკოქირურგიისთვის პაციენტის მომზადება და ანესთეზიური მართვის გეგმის შემუშავება.

გ.დ) შემდეგი მანიპულაციების დროს ანესთეზიის მართვის, პერიოპერატიული მართვის, პრინციპების, საბაზისო მეცნიერების ცოდნა:

გ.დ.ა) თორაკოტომია დაფილტვის რეზექცია;

გ.დ.ბ) მედიასტინუმის მოცულობის რეზექცია;

გ.დ.გ) საყლაპავის ქირურგია.

გ.დ.დ) თორაკალური აორტის ქირურგია:

გ.დ.დ.ა) ტრაქეო-ბრონქული ქირურგია;

გ.დ.დ.ბ) თორაკოსკოპიური პროცედურები;

გ.დ.დ.გ) მედიასტინოსკოპია.

გ.ე) ცალი ფიტვის ვენტილაციის დროს განვითარებული ჰიპოქსიის და ვენტილაციის მართვა;

გ.ვ) პოსტოპერაციული რესპირატორული დისტრეს-სინდრომის ამოცნობა, დიფდიაგნოზი და მართვა;

გ.ზ) გულმკერდის დრენაჟების სისტემის მუშაობის პრინციპის გაგება;

გ.თ) პოსტოპერაციული ტკივილის შეფასება და მართვა.

დ) ნეიროანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია:

დ.ა) ნეიროანესთეზიის დროს მონიტორინგი, ჩართვა და კალიბრაცია, კანულის ჩადგმა, მონაცემთა ინტერპრეტაცია;

დ.ბ) ბოჭკოვანი ბროქოსკოპიის ფლობა(სასურველია);

დ.გ) პრე-ანესთეზია მომზადება ნეიროანესთეზიისთვის;

დ.დ) პაციენტის პოზა;

დ.ე) მომატებული ინტრაკრანიალური წნევის შემცირება;

დ.ვ) საექვო ზურგის ტვინის ცერვიკალური დაზიანება;

დ.ზ) ინტრაოპერაციული აიროვანი ემბოლია;

დ.თ) თავის ტრავმის მართვა.

ე) ბავშვთა ასაკის ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია:

ე.ა) სასუნთქი გზების მართვა (ვენტილაცია, ლარგეალური ნილაბი, ენდოტრაქეალური ინტუბაცია) ყველა ასაკობრივ ჯგუფში:

ე.ა.ა) ბოჭკოვან ოპტიკური ინტუბაცია;

ე.ა.ბ) ნაზალური CPAP მილი/ ასისტირებადი ვენტილაცია.

ე.ბ) პერიფერიული სისხლძარღვების მიდგომა (ვენური და არტერიული);

ე.გ) ძვალ შიდა (intra osseous) მიდგომა;

ე.დ) რეგიონალური ანესთეზია და ანალგეზია კაუდალური ანესთეზიის ჩათვლით;

ე.ე) პრეოპერაციული მომზადება და პრემედიკაცია;

ე.ვ) პოსტოპერაციული გამოფხიზლების მართვა და ინტენსიურ თერაპიაში შესული ბავშვების სასიცოცხლო ნიშნების საწყისი სტაბილიზაცია;

ე.ზ) სასუნთქი გზების და სუნთქვის მართვა: „გართულებული ვენტილაცია“, „გართულებული ინტუბაცია“, ჰიპოქსია, ჰიპერკარბია, ბრონქოსპაზმი, აპნოე, ზემო სასუნთქი გზების ობსტრუქცია, ზემო სასუნთქი გზების ინფექცია, უცხო სხეული სასუნთქ გზებში, ლარინგოსპაზმი, სტრიდორი, კუჭის შიგთავსის ასპირაცია, გულყრა;

ე.თ) რეგურგიტაციის რისკის მქონე ბავშვის მართვის პრინციპები;

ე.ი) მოცულობის და სისხლის ჩანაცვლება მათ შორის ჰემოსტაზის

კონტროლი;

ე.კ) რთული ვენური მიდგომის მართვა;

ე.ლ) გადაუდებელი შემთხვევის სტაბილიზაცია და ტრანსპორტირება, PALS;

ე.მ) ბავშვთან დამის მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;

ე.ნ) პედაგოგიური პრაქტიკის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცოდნა, წერილობითი თანხმობის მიღება, რისკების ახსნა, კლინიკურ კვლევაში ჩართვის თანხმობა.

ვ) ამბულატორიული/საველე ანესთეზიოლოგია:

ვ.ა) ამბულატორიულ ან საველე პირობებში უსაფრთხო სტანდარტების ორგანიზება, მათ შორის შესაბამის ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა;

ვ.ბ) პოსტანესთეზიური დაკვირვებისა და მონიტორინგის ორგანიზება და მართვა ადგილზე;

ვ.გ) აპარატურის და აღჭურვილობის პრეანესთეზიური მომზადება ამბულატორიული ან საველე ანესთეზიისთვის;

ვ.დ) საველე ანესთეზიისთვის პაციენტის შერჩევა და მომზადება;

ვ.ე) საველე ანესთეზიამდე და შემდეგ პაციენტის უსაფრთხო ტრანსპორტირება;

ვ.ვ) მოშორებით მყოფი პაციენტის მონიტორინგის უზრუნველყოფა (ფანჯარა, კამერა);

ვ.ზ) თვით უსაფრთხოება (რენტგენი, მრტ, ბირთვული კვლევა);

ვ.თ) ამბულატორიული და საველე ანესთეზიის ლოჯისტიკის ორგანიზაციული ასპექტები;

ვ.ი) მულტიდისციპლინური გუნდის კომუნიკაციის პრინციპები;

ზ) ტკივილის მულტიდისციპლინური მართვა:

ზ.ა) მწვავე ტკივილის შეფასება და ეფექტური მართვა: პროცედურული, პოსტოპერაციული, გადაუდებელ განყოფილებაში, ტრანსპორტირების დროს. უნდა შეეძლოს პერიფერიული ბლოკადის გაკეთება, სისხლძარღვოვანი კათეტერის ჩადგმა მწვავე ტკივილის სამართავად;

ზ.ბ) ქრონიკული ტკივილის მქონე პაციენტის შეფასება: ანამნეზი, ფიზიკური გასინჯვა, დამატებითი ტესტების მოთხოვნა და ინტერპრეტაცია;

ზ.გ) ქრონიკული ტკივილის მქონე სიმსივნეანი და არასიმსივნეანი პაციენტების ქრონიკული ტკივილის მართვის ვარიანტების ცოდნა;

ზ.დ) ქრონიკული ტკივილის მქონე პაციენტის ფარმაკოლოგიური მართვის ცოდნა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოპიატების ადექვატურ გამოყენებას და მრავალპროფილიან ანალგეზიას;

ზ.ე) ცენტრალური, წნულის, პერიფერიული ბლოკადა, ქსოვილების ინფილტრაციული ანალგეზია, დიაგნოსტიკური ან ტკივილის დაყუჩების მიზნით. ხანგრძლივი გამოყენების კათეტერების ჩადგმა;

ზ.ვ) სხვადასხვა ინტერვენციური და არაინტერვენციური თერაპიის ჩვენებები, ტკივილის სპეციალისტის დახმარების დროული მოთხოვნა;

ზ.ზ) პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან ეფექტური კომუნიკაცია. აცნობს და განიხილავს მკურნალობის სხვადასხვა მეთოდებს და კლინიკურ მიზნებს;

ზ.თ) განავითარებს უნარებს შეურჩიოს პაციენტს (მასთან შეთანხმებით) საუკეთესო მკურნალობის გეგმა, განიხილოს შესაძლო გვერდითი მოვლენები და რისკები, მოიპოვოს წერილობითი თანხმობა ოპიატების გამოყენებაზე;

ზ.ი) შეეძლოს გაარჩიოს ტკივილი სიმულაციისგან: ნარკომანის მიერ ან

სამსახურიდან კომპენსაციის მიღების მიზნით;

ზ.კ) ეფექტურად ურთიერთობს ზოგადი პროფილის ექიმთან მკურნალობის ვარიანტებზე და პაციენტის შორეულ მომავალში დაკვირვება-მართვაზე.

9. შენიშვნა:

ა) ტერმინები რეანიმატოლოგია, კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინა და ინტენსიური თერაპიის მედიცინა სინონიმებია. ჩვენ გთავაზობთ გამოყენებული იქნეს ტერმინი „რეანიმატოლოგია“;

ბ) რეანიმაციული ანუ ინტენსიური თერაპიის განყოფილება შეიძლება არსებობდეს იზოლირებული: თერაპიული და ქირურგიული ერთეულების სახით (ცალ-ცალკე) ან შეიძლება იყოს ე.წ. თერაპიულ-ქირურგიული რეანიმაციული ანუ ინტენსიური თერაპიის განყოფილება. როგორც წესი, ასაკის მიხედვით რეანიმაცია იყოფა მოზრდილთა და ბავშვთა განყოფილებებად;

გ) ბავშვთა რეანიმაცია (ინტენსიური თერაპია) ასევე შეიძლება დაიყოს ახალშობილთა (დაბადებიდან 28 დღის ასაკამდე) და პედიატრიულ (29 დღის ასაკიდან 15 წლამდე) რეანიმაციულ განყოფილებებად (რეკომენდებულია);

დ) რეკომენდებულია (საკმაოდ მნიშვნელოვანია) არსებობდეს ე.წ. პოსტანესთეზიური ბლოკი (ერთეული). ამ ბლოკში მოთავსდებიან ანესთეზიის შემდეგ (ზოგადი, რეგიონალური) პაციენტები გამოფხიზლების ან/და სტაბილიზაციის მიზნით სანამ გადავლენ რეანიმაციაში, პალატაში ან გაეწერებიან ბინაზე (ხანმოკლე პროცედურების შემდეგ-ჩვენების მიხედვით). ამ ბლოკში დაყოვნების ხანგრძლივობა რამდენიმე საათია (იშვიათ შემთხვევებში შეიძლება დაყოვნდეს უფრო დიდ ხანს, მაგრამ არა უმეტეს 24 საათისა);

ე) რეკომენდებულია (საკმაოდ მნიშვნელოვანია) ე.წ. შუალედური მოვლის განყოფილება (Intermediate care unit), სადაც თავსდება თერაპიული თუ ქირურგიული პაციენტი რომელიც უკვე აღარ საჭიროებს II და მეტი დონის რეანიმაციულ მოვლას, მაგრამ ჯერ არ არის მზად პალატაში გადასაყვანად და საჭიროებს I დონის მოვლას და ინტენსიურ მონიტორინგს, ან არაუმეტეს ერთი ორგანოს ჩანაცვლებას (მათ შორის იგულისხმება სრული ან ნაწილობრივი პარენტერალური კვება);

ვ) პოსტანესთეზიური და შუალედური მოვლის განყოფილებებში პაციენტის მოთავსების ჩვენება და დაყოვნების ხანგრძლივობა წარმოადგენს თითოეული დაწესებულების შიდაპოსპიტალურ პროტოკოლურ გადაწყვეტილებას;

ზ) ყველა ეს განყოფილება (ბლოკი, ერთეული) იმართება ექიმ ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგის მიერ;

თ) ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი არის ექიმი, რომელმაც უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის დასრულების შემდეგ აითვისა დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამა სპეციალობით “ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია”, ფლობს სათანადო უნარ-ჩვევებს და გააჩნია შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატი. მას შეუძლია იმუშავოს ნებისმიერი ასაკის პაციენტებთან ანესთეზიაში, პოსტანესთეზიურ ბლოკში, თერაპიულ და ქირურგიულ რეანიმაციაში, ე.წ. შუალედურ ინტენსიური მოვლის განყოფილებაში, მართოს ტკივილი;

ი) რამდენადაც კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მკურნალობის პროცესში ხშირად სხვადასხვა პროფილის ექიმები არიან ჩართული, ზოგ კლინიკურ შემთხვევაში ექიმ ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგს მულტიდისციპლინური გუნდის ლიდერის ფუნქციაც აკისრია.

მუხლი 3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

1. სარეზიდენტო პროგრამა წარმოადგენს იმ თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების და პროფესიული თვისებების ერთიანობას, რაც საჭიროა აუცილებელი კომპეტენციის მისაღწევად ანესთეზიოლოგიასა და

რეანიმატოლოგიაში. ამ პროგრამის სილაბუსი შედგება 12 კლინიკური მოდულისგან. სილაბუსში იგულისხმება, რომ მსმენელს, სამედიცინო განათლების შესაბამის (დიპლომამდე) ეტაპზე, ნასწავლი და ათვისებული აქვს საბაზისო საბუნებისმეტყველო და სამედიცინო მეცნიერებები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, ანატომია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია, პათოფიზიოლოგია, ბიოქიმია და ფარმაკოლოგია).

2. პროგრამა ეყრდნობა:ევროპის ანესთეზიოლოგთა საზოგადოების (ESA) „ანესთეზიოლოგია, ინტენსიური თერაპია, ტკივილის მართვის“ სარეზიდენტო პროგრამის სილაბუსს, რომელიც წარმოადგენს სარეზიდენტო პროგრამის საფუძველს;აგრეთვეაშშ ანესთეზიოლოგთა ასოციაციის (ASA) გაიდლაინებს და პროტოკოლებს; CoBaTrICE - კომპეტენციებზე დაფუძნებულ ექიმთა გადამზადების პროგრამას მოზრდილთა და პედიატრიულ ინტენსიურ თერაპიაში; საქართველოს კანონებს: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“. აგრეთვე, „ჰელსინკის დეკლარაციას უსაფრთხო ანესთეზიის შესახებ - 2010 წ“ და „ვენის დეკლარაციას ინტენსიურ თერაპიაში პაციენტის უსაფრთხოების შესახებ - 2009წ.“.

3. მზადების პროცესში მსმენელი გაივლის როგორც თეორიულ კურსს ამა თუ იმ მოდულში, ასევე ამის პარალელურად პირველი დღიდანვე ჩაერთვება პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობაში, ხელმძღვანელის პირდაპირი მეთვალყურეობის ქვეშ, საბოლოოდ, კურსის დამთავრებისთვის ის შეძლებს დამოუკიდებელ პრაქტიკულ საქმიანობას ხელმძღვანელის არაპირდაპირი მეთვალყურეობის ქვეშ. პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა მულაჟები და სიმულატორები, და უშუალოდ პაციენტთან მუშაობა ხელმძღვანელის კონტროლის ქვეშ.

4. პროგრამა მოიცავს:

- ა) თეორიული ცოდნას;
- ბ) ტექნიკურ და პროცედურულ უნარებს;
- გ) ცოდნის და უნარების გამოყენებას ყოველდღიურ პრაქტიკაში;
- დ) ინტენსიური თერაპიისა და ანესთეზიოლოგიის ფინანსურ დაორგანიზაციული ასპექტებს;
- ე) ხარისხის უზრუნველყოფას;
- ვ) ეთიკურ ნორმებს;
- ზ) კლინიკურ სამეცნიერო კვლევების საფუძველებს.

5. თითოეული მოდულის გავლის შემდეგ ხელმძღვანელების მიერ ჩატარდება ეტაპური გამოკითხვა თეორიული ცოდნისა (ტესტური MCQ ტიპის ან/და გასაუბრება) და ამ პერიოდში დაგროვილი პრაქტიკული უნარების ექსპერტული შეფასება.

6. პროგრამის დამთავრების შემდეგ ჩატარდება საბოლოო შემაჯამებელი გამოცდა, რომელიც მრავალკომპონენტიანი იქნება და შედგება: სიტუაციური ამოცანების, გასაუბრების და მოდულზე პასუხისმგებელი პირის დახასიათება-რეკომენდაციისგან, სადაც ასახული იქნება პრაქტიკული უნარების ფლობის და პროფესიონალიზმის დონე - დადასტურებული რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის დღიურით, რის საფუძველზეც განისაზღვრება, ფლობს თუ არა მსმენელი კვალიფიკაციისთვის აუცილებელ კომპეტენციებს.

7. სარეზიდენტო პროგრამის წარმატებული აპრობაციის და ფუნქციონირების შემდეგ, პროგრამის ხელმძღვანელობის ინიციატივით, ეროვნული პროფესიული ასოციაციების კოორდინირებით, მაძიებელს შეეძლება ჩააბაროს ევროპის ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის დიპლომის პირველი ეტაპის წერითი გამოცდა - (European Diploma in Anesthesiology and Intensive Care Medicine), "EDAIC part I examination- written". ეს ცვლილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის სტანდარტების ევროპულთან გათანაბრებას.

მუხლი 4. სარეზიდენტო პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის მოდულებად დაყოფა და მოდულების განხორციელების ოგანიზაცია

1. სარეზიდენტო პროგრამა მოიცავს მომავალი სპეციალისტების მომზადების კომპლექსურ გეგმას. გათვალისწინებულია სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

2. თეორიული ნაწილი წარმოდგენილია ლექცია – სემინარტა, დისკუსიათა და პრეზენტაციათა სახით. დაგეგმილია წინასწარ შერჩეულ საკითხებზე რეფერატების მომზადება სათანადო ოპონენციით. აუცილებელი მომენტია სხვადასხვა სახის და დონის კონფერენციებში და სკოლა – სემინარებში მონაწილეობა.

3. პრაქტიკული სწავლება გულისხმობს სხვადასხვა ტიპის მულაუებზე ძირითადი მანიპულაციების ათვისებას. ათვისებული მანიპულაციების ტექნიკის დახვეწა მოხდება უშუალოდ პაციენტებთან მუშაობის პროცესში. პრაქტიკული სწავლების ნაწილს წარმოადგენს თანამედროვე სანარკოზო – სასუნთქ და მონიტორინგის აპარატებთან მუშაობის ჩვენების და უსაფრთხოების ტექნიკის ათვისება.

4. სათანადო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად დაგეგმილია რეზიდენტთა (მაძიებელთა) სტაბილური გრაფიკებით მორიგეობა ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის განყოფილებებში. უნარ-ჩვევათა დასახვეწად გათვალისწინებულია რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დამოუკიდებელი მუშაობა (სწავლების მესამე წელს) პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულზე პასუხისმგებელ პირთა მეთვალყურეობით.

5. „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“ სარეზიდენტო პროგრამა შედგება 13 მოდულისგან:

პროფესიული მზადების I წელიწადი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ანესთეზიოლოგიის საფუძვლები	4 თვე
1.2.	რეგიონული ანესთეზია	2 თვე
1.3.	ამბულატორიული ანესთეზიოლოგია	1 თვე
1.4.	მეანობა – გინეკოლოგიის ანესთეზიოლოგიური უზრუნველყოფა	1 თვე
1.5.	ტრავმის ანესთეზიოლოგიური უზრუნველყოფა	1 თვე
1.6.	ნეიროანესთეზიოლოგია	1 თვე
1.7.	სისხლის და სისხლის პროდუქტების ტრანსფუზური თერაპიის ძირითადი პრინციპები	1 თვე
პროფესიული მზადების II წელიწადი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	მოზრდილთა რეანიმატოლოგია	8 თვე
2.2.	ბავშვთა რეანიმატოლოგია	5 თვე (3+2)
პროფესიული მზადების III წელიწადი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
	გრძელდება ბავშვთა რეანიმატოლოგიის მოდული 2 თვის განმავლობაში	2 თვე
3.1.	ბავშვთა ანესთეზიოლოგია	3 თვე
3.2.	ანესთეზია გეგმურ და გადაუდებელ ქირურგიაში	3 თვე
3.3.	კარდიოვასკულური და თორაკოქირურგიული ანესთეზიოლოგია	2 თვე
3.4.	არჩევითი მოდული	1 თვე

6. სარეზიდენტო პროგრამა სამწლიანია. საბაზისო თეორიული საკითხების შესწავლას სავსებით ყოფნის გამოყოფილი დრო. პროგრამა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ასათვისებლად ითვალისწინებს პრაქტიკულ მეცადინეობებს, ტრენინგებს, სტაბილურ მორიგეობებს ანესთეზიოლოგიისა და რეანიმაციის განყოფილებებში, პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობას პროგრამის დირექტორის და პედაგოგიური გამოცდილების მქონე კოლეგების მეთვალყურეობით.

7. რეზიდენტურის პირველი წელი ითვალისწინებს ანესთეზიოლოგია – რეანიმატოლოგიის ძირითადი საბაზისო თეორიული ასპექტების შესწავლას. ასევე ამ პერიოდში უნდა მოხდეს ძირითად მანიპულაციათა ათვისება.

8. რეზიდენტურის მეორე წელი ეძღვნება ინტენსიური თერაპიის და კრიტიკული მედიცინის (რეანიმაციის) საკითხთა შესწავლას და შესაბამისი უნარჩვევების გამომუშავებას. გათვალისწინებულია არა მარტო ქირურგიული, არამედ ძირითადი თერაპიული ნოზოლოგიების პათოფიზიოლოგიის, კლინიკის და მენეჯმენტის საკითხთა ათვისება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიტიკული მდგომარეობების ფორმირების მექანიზმთა და მკურნალობის საკითხთა შესწავლას. ამავე წლისთვის იგეგმება რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთადამოუკიდებელი მუშაობა პაციენტებთან.

9. რეზიდენტურის მესამე წელს რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ათვისებს კერძო ანესთეზიოლოგიის საკითხებს, ქირურგიის სხვადასხვა დარგებში ანესთეზიოლოგიური უზრუნველყოფის თავისებურებებს, თანამედროვე ანესთეზიოლოგიაში არსებულ უახლეს მეთოდოლოგიურ და ტექნოლოგიურ საკითხებს. დახვეწავს ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის ცოდნას და სრულყოფს სათანადო მანიპულაციების ტექნიკას.

10. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ 3 წელი ოპტიმალური ვადაა სპეციალობის ასათვისებლად. თუმცა ზოგიერთი განსაკუთრებით რთული და კომპლექსური სერვისებისთვის, როგორცაა მაგალითად ნეირო და კარდიო ანესთეზია – რეანიმაცია, ასევე ბავშვთა ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია, შესაძლოა საჭირო იყოს რეზიდენტურის პროგრამის შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლების (გადამზადების) ტრენინგები.

მუხლი 5. აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო რესურსები

სარეზიდენტო პროგრამის სწავლებას უზრუნველყოფენ პედაგოგები და უმაღლეს სკოლაში პედაგოგიური გამოცდილების მქონე დარგის წამყვანი სპეციალისტები. ახალ სპეციალისტთა მოწვევა მოხდება სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელისა და სარეზიდენტო სამსახურის სპეციალისტთა ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი უნდა მონაწილეობდეს იმ დაგეგმილ პროგრამებში, რომლებიც მიმართულია პაციენტებისათვის ხარისხიანი და შესაფერისი ანესთეზიოლოგიური და რეანიმატოლოგიური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

2. იგი ჩართული უნდა იყოს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრაში.

3. სწავლების ხარისხის შესამოწმებლად, თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ ჩვევების შეფასება მოხდება პერიოდულად, მოდულის ვადის

დამთავრებისას. თეორიული ცოდნა შეფასდება ტესტირებით, ხოლო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს შეაფასებს კომისია საბაზო კლინიკის გამოცდილ სპეციალისტთა შემადგენლობით.

4. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და პერიოდული კონტროლისთვის პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის ჯგუფის სპეციალისტები.

მუხლი 7. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება

1. სარეზიდენტო პროგრამის მართვა – ადმინისტრირებას ახორციელებს სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი სათანადო სამსახურებთან ერთად.

2. სარეზიდენტო პროგრამის პედაგოგების/მოდულზე პასუხისმგებელი პირების უფლება – მოვალეობანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ადმინისტრაციასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

3. პროგრამის მართვაში განმსაზღვრელი როლი ენიჭება პროგრამის ხელმძღვანელს (დირექტორს), რომლის წარდგინებითაც ხდება მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიღება – განთავისუფლება.

4. პროგრამის ხელმძღვანელი (დირექტორი) რეკომენდაციას იძლევა კლინიკური ბაზის სასწავლო პროცესში ჩართვის ან პროცესიდან გაყვანის შესახებ. მასვე შეუძლია პროგრამაში სასწავლო – მეთოდოლოგიური საკითხების კორეგირება, მოდულთა რაოდენობრივი და თვისობრივი შეცვლა.

5. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები:

ა) მისაღები გამოცდის პროგრამის შედგენა და რეზიდენტურაში მიღების პროცესში მონაწილეობა;

ბ) სპეციალობის აღწერილობის საფუძველზე შედგენილი დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტებული პროგრამის განხორციელება;

გ) სამედიცინო დაწესებულების და მოდულზე პასუხისმგებელი პირის მითითებით რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის შედგენა;

დ) წინასწარ დადგენილი ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი;

ე) მოდულზე პასუხისმგებელი პირებთან ერთად დადგენილი წესის მიხედვით ყოველწლიურად რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მუშაობის შეფასება;

ვ) ყოველწლიური შეფასების შედეგების გათვალისწინებით რეზიდენტისათვის/საექიმო სპეციალობის მაძიებლისათვის რეკომენდაციას მიცემა პროგრამის გაგრძელების შესახებ;

ზ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი წლიური შეფასებისას, დასაბუთებული მოხსენებით ბარათის წარდგენა გარიცხვის შესახებ;

თ) რეზიდენტურის კურსის წარმატებული დასრულების შემდეგ რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის შემაჯამებელი ატესტაციის ჩატარება და კურსის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობის გაცემის შესახებ რეკომენდაციის მიცემა;

ი) მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობადა შეფასება.

6. მოდულზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობები:

ა) სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მუშაობის წარმართვა;

ბ) რეზიდენტებთან/საექიმო სპეციალობის მაძიებლებთან პედაგოგიურ მუშაობისათვის თავისი საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა;

გ) თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამ-ხელმძღვანელისათვის რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლისმიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა;

დ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის დღიურში მისმიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.

7. რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის უფლება/მოვალეობები:

ა) რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი შეიძლება გარიცხული იქნას რეზიდენტურიდან ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის დირექტორი სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირთან შეთანხმებით;

ბ) რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, თანამედროვე ტიპის კლინიკური და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);

გ) რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;

დ) რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;

ე) რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს წარუდგინოს პროგრამის ხელმძღვანელს გაწეული მუშაობის ანგარიში და გაიაროს ეტაპობრივი და დამასრულებელი ატესტაცია დადგენილი წესით;

ვ) რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების განრიგით განსაზღვრული საქმიანობა.

მუხლი 8. პროგრამის ხანგრძლივობა და განახლების პერიოდულობა

1. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი – 33 თვე.

2. ანესთეზიოლოგია–რეანიმატოლოგია სწრაფად განვითარებადი დარგია. გაიდლაინების და პროტოკოლების გადახედვა (ევროპული და ამერიკული სტანდარტებით) ხდება საშუალოდ 5 წელიწადში ერთხელ, აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სარეზიდენტო პროგრამის განახლება და შესაბამისობაში მოყვანა უნდა მოხდეს ყოველ 5 წელში ერთხელ.

თავი II. პროფესიული მზადების I წლის მოდულები

მუხლი 9. მოდული 1.1.

1. მოდულის დასახელება – „ანესთეზიოლოგიის საფუძვლები“, ხანგრძლივობა – 4 თვე (576 საათი).

2. მოდულის მიზანი - ანესთეტიკების, ანალგეტიკების, ჰიპნოტიკების, რელაქსანტების და ესთეზიოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებადი სხვა სამკურნალწამლო საშუალებების ფარმაკოლოგიური თვისებების შესწავლა; ანესთეზიოლოგიური უზრუნველყოფის თანამედროვე კონცეფციათა ანალიზური შესწავლა; ტოპოგრაფიული ანატომიის ძირითადი საკითხების და იმ ქირურგიულ მანიპულაციათა ტექნიკის შესწავლა-ათვისება, რომელიც აუცილებელია ანესთეზიოლოგიური უზრუნველყოფის პროცესებში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში აღმოცენებული ქირურგიული პათოლოგიის ოპერაციული მკურნალობისა და სხვადასხვა გენეზის კრიტიკული მდგომარეობის მკურნალობის პროცესში; ანესთეზიისა და ოპერაციული რისკის შეფასების

კრიტიკიკუმების ათვისება. ასევე გაუტკივარების პროგრამების შედგენა ანესთეზიოლოგიური რისკის მინიმიზაციის მიმართულებით; აირთა მცირე და მინიმალური ნაკადური ანესთეზიის ტექნოლოგიათა ათვისებას და გამოყენებას ზოგადი ანესთეზიის პროცესში მაღალხარისხიანი მონიტორინგის პირობებში.

3. ლიტერატურის ნუსხა:

- ა) კლინიკური ანესთეზიოლოგიისა და ზოგადი ინტენსიური თერაპიის საფუძვლები კითხვებსა და პასუხებში. ნ. ლებანიძე. თბილისი, 2001;
- ბ) ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია კითხვებსა და პასუხებში. ნ. ლებანიძე, ს. ქაჯაია. თბილისი 2008;
- გ) ANESTHESIA. edited by Ronald D. Miller, M.D. 6th edition «Churchill Livingstone», Copyright 2005. Elsevier Inc.;
- დ) Principles of Anesthesiology, general and regional anesthesia. Vincent J. Collins. Vol. I, II, «Lea & Febiger», 1993;
- ე) Opioids in Anesthesia edited by Fazwy G. Estafonous, M.D. Vol. I, II, «Butterworth-Heinemann», 1991;
- ვ) Annual Refresher Course Lectures. American Society of Anesthesiologists. San Francisco 1994;
- ზ) Breathing and Mechanical Support. Wolfgang Oczenski, Alois Werba, Harald Anel. «Blackwell Science», 1997;
- თ) Respiratory and Critical Care Medicine. Vol.#157, 158. 1998;
- ი) Regional-anästhesie. Gustav Fischer Verlag. 1989;
- კ) American Heart Association in collaboration with International Liaison Committee on Resuscitation. Guidelines 2005 for Cardiopulmonary Resuscitation and Emergency Cardiovascular Care: International Concensus on Science, Part 11, 7: Neonatal Resuscitation. *Circulation* 2005; 112:91-9;
- ლ) Davis P, Tan A, O'Donnell C, Schulze A. Resuscitation of newborn infants with 100% oxygen or air: a systematic review and meta-analysis. *Lancet* 2004; 364:1329-33;
- მ) Oca M, Nelson M, Donn S. Randomized trial of normal saline versus 5% albumin for the treatment of neonatal hypotension. *J Perinatol* 2003; 23:473-6;
- ნ) Perondi MB, Reis AG, Paiva EF, Nadkarni VM. A comparison of high-dose and standard-dose epinephrine in children with cardiac arrest. *N Engl J Med* 2004; 350:1722-30.
